



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ეგზარქოსის საზაფხულო სასახლე

ეგზარქოსის საზაფხულო სასახლე. მდებარეობდა თბილისში, ხარფუხში, განჯის კარისა და ბერძნების დასახლების მახლობლად, წმ. ნიკოლოზის ეკლესიის ჩრდ.-აღმ-ით. სასახლე ააგეს XIX ს. 20-30-იანი წლების მიჯნაზე. იქვე იდგა ღვთისმშობლის კარის ეკლესია (1835). ე. ს. ს. რამდენჯერმე იხსენიება მთავარმართებელ გენ. ა. ნეიდგარდტის (1842-44) 1843 „გამოცხადებაში“, რ-ის მიხედვითაც იგი აღგენდა მდ. მტკვრის სანაპიროს გამოყენების წესს და რიგს. დღეს სასახლისა და ღვთისმშობლის კარის ეკლესიის ადგილი უკავია 300 არაგველის სახ. ბაღის ნაწილს.
